# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 სექტემბერი 2005 №206 (2529) ფასი 50 თეთრი



**გიორგი ქინქლაძე მილიონნახევარში**

ინტერვიუ „რუბინის“ ახალწვეულთან

2



**იქ, სადაც მეფენი თავისი ფეხით დარბიან**

ეს რა ვნახე ნეტავი არ მენახა ფონზე

2



**ქართული სეზონი ისლანდიაში იწყება**

15

# ქართული მძიმე მეტალი: ლაშა გუჯეჯიანის ბრინჯაო

## დღეს ზურაბ ზვიადაურის და გრიგოლ შინჯიკაშვილის ჯერია



მძიმე წონის კვარცხლბეკი: იასუიუკი მუნეტა, ალექსანდრ მიხაილინი, ლაშა გუჯეჯიანი და პიერ რობენი

AFP ქართიდან

# ესტონეთმა საქართველოს ტური დაუპატარავა

საქართველოს ნაკრების სასექტემბრო მატჩებმა ჩაიარა და ისევ ეროვნულ ჩემპიონატს ვუბრუნდებით. დღეს-ხვალ-ზეგ მეხუთე ტურის შვიდი თამაშია, რომელთაგან ოდნავ მაინც გამორჩეული „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ უნდა იყოს.

მერვე თამაში რაღა გვექნა? „ზესტაფონი“ — „ვიტ ჯორჯია“ გადაიდო. ფეროელთა რამდენიმე ფეხბურთელი ესტონეთშია, სადაც 13 სექტემბერს 19-წლამდელთა ევროშესარჩევი ეტაპი იწყება.

მოკლედ, ეს თამაში მოგვიანებით გაიმართება.



„ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ მეხუთე ტურის ყველაზე საინტერესო წყვილია

[illegible] ფოტო



# იქ, სადაც მეფენი თავისი ფეხით დარბიან

## ეს რა ზნახე ნეტავი არ მენახას ფონზე

### დანია და ფეხბურთი

თუ გინდათ ზუსტად გაიგოთ, როგორი ურთიერთობა აქვთ დანიელებს და ფეხბურთს, იქაურ სტადიონზე უნდა მოხვდეთ. ქუჩაში კი ქომაგები ძალიან უბრალოდ, რომ იტყვიან, ეთიკეტის დაცვით იქცევიან — „ქართველები ხართ? იმედია, კარგ ფეხბურთს ვნახავთ"... ასეთი სიტყვები კოპენჰაგენში ყოფნისას მრავლად მოვისმინე.

საერთოდ, კოპენჰაგენელი გულშემატკივარი ყველაზე ტემპერამენტიან გულშემატკივრად ითვლება დანიაში. იქაური ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებაც იოლი მისახვედრია: საქართველოსთან მატჩი კოპენჰაგენში, „პარკენ სტადიონზე" დაინიშნა, რადგან მაყურებლის მხარდაჭერა ვიკინგთათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

დანიაში მეტოქეს (ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთან ასე იყო) მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ — უკვე გამცნეთ, რომ ჟურნალისტები ერთხელაც არ დაინტერესებულან საქართველოს ნაკრების ვარჯიშით ან საერთოდ გუნდში მიმდინარე პროცესებით.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია კი „უყურადღებობის ფინალი" იყო — როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე სანდრო ცნობილაძემ დანიელ კოლეგას ჰკითხა, ჩვენი მწვრთნელი პრესკონფერენციაზე სად და როგორ მივიდესო, ასეთი პასუხი მიიღო: „ჩვენ ჩვენი მწვრთნელი გვაინტე[illegible]ებს. თქვენ კი, რაც გინდათ, ის ჰქენით"...

### კაცია თუ ძრავა?

ვინ არის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი დღეს დანიაში? რა თქმა უნდა, ტომას გრავესენი, მადრიდის „რეალის" საყრდენი ნახევარმცველი — კაცი, რომელიც მთელი 90 წუთი დაუღალავად მუშაობს. მისი ბურთთან ყოველი შეხება ტრიბუნების ოვაციებს იწვევს, მისი წამქცევი მეტოქე ფეხბურთელი კი რისხვას იმსახურებს. ეს ტომას გრავესენია დანიის ნაკრების ძრავა, რომელმაც უზომო წილი დაიდო საქართველოს ნაკრებთან მოგებაში — მან, ფაქტობრივად, მარტომ შეძლო მოედნის ცენტრში გაბატონება და შეტევების ორგანიზების გარდა ერთი-ორჯერ გოლის გატანასთანაც ძალიან ახლოს იყო.

მოკლედ, „სამეფო კლუბის" დანიელი ლეგიონერი თავის ქვეყანაში ნამდვილი მეფეა...

### ლუდფანები

ფეხბურთი ულუდოდ გამორიცხულია — ასეთი დევიზით ხელმძღვანელობენ დანიელი ქომაგები და თამაშამდეც და თამაშის დროსაც იმდენს სვამენ და იმდენს იტანენ, რომ მსაჯის საფინალო სასტვენამდე, მგონი, „პახმელიაზე" გამოსვლასაც ასწრებენ.

შევნიშნოთ, რომ ისინი სტადიონზე ბოთლებით არ შედიან და მოედანზეც არაფერს ისვრიან — დანიელებმა დალევაც იციან, მონელებაც, ფეხბურთიც და მოგება-წაგების ფასიც.

ამიტომაცაა, სტადიონის ირგვლივ განთავსებული ლუდხანები თამაშამდეც და თამაშის შემდეგაც გადავსებული რომაა...

### ფეხბურთი სტადიონზე ვიცით...

და კიდევ: „ჩვენი არ იყოს", დანიელებს ისე უყვართ ფეხბურთი, რომ... არც კი ვიცი, როგორ გითხრათ... მოკლედ, კოპენჰაგენის მთავარ მოედანზე, სადაც აუარება ხალხი მოძრაობს, ფეხბურთი ვითამაშე. ეგ არის, ოთხმა დანიელმა ოთხი ქართველის წინაალმდეგ ნიძლავზე თამაში იუარა და პასუხიც ასეთი მივიღეთ — 7 სექტემბერს გნახავთ, რა ბიჭებიც ხართო.

ნახეს კიდეც...

**ძაბა ზალამბერიძე**
*კოპენჰაგენი — თბილისი*

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. VII ტური
ამიენი 1:1 შატორუ

**ჰოლანდია**
II დივიზიონი. VII ტური
მაასტრიხტი 4:1 დენ ბოსხი

**ფინეთი**
ვეიკაუსლიგა. XXII ტური
ალიანსი 2:3 ტურკუ

**შვედეთი**
თასი. ნახევარფინალი
ატვიდაბერგი 1:0 ნორჩიოპინგი

# ქინქლაძე მილიონნახევარში

**32 წლის გიორგი ქინქლაძე კვიპროსული „ანართოსისიდან" რუსულ „რუბინში" აგვისტოს ბოლოს გადავიდა და პრემიერლიგაში ერთი თამაშიც ითამაშა — ყაზანის „რუბინმა" სტუმრად „როსტოვს" 1:0 მოუგო და ქინქლაძემ საგოლე პასით გამოიჩინა თავი. რუსული პრემიერლიგა ამ უქმეებზე განახლდება — 11 სექტემბერს „რუბინი" მოსკოვის „დინამოს" ხვდება, მანამდე კი ქინქლაძე „სარბიელის" კითხვებს პასუხობს...**



**— „რუბინთან" კონტრაქტი რა ვადით გააფორმე?**

— ამ სეზონის ბოლომდე, ასეთი იყო კლუბის და ჩემი სურვილიც.

**— „რუბინსაც" ალბათ პლეიმეიკერად უნდიხარ და „როსტოვთან" ჩვეულ პოზიციაზე ითამაშე?**

— ეგრეა, ჩემ პოზიციაზე ვთამაშობ, თუმც უკანაც მიწევს ჩასვლა. ისიცაა, რომ რუსეთის ჩემპიონატი კვიპროსისაზე გაცილებით ძლიერია და ყველაფერ ამას მიჩვევა უნდა. რუსეთში დიდ ყურადღებას აქცევენ ათლეტიზმს და სისწრაფეს. მე კარგად ვარ მომზადებული, მაგრამ გუნდს რომ შევეწყო და აქაურ ტემპს ავყვე, ორი-სამი თამაში კიდევ დამჭირდება. რუსეთზე უკეთეს ჩემპიონატშიც მითამაშია და არ გამჭირვებია.

**— ქინქლაძე და ეროვნული ნაკრები — ამ საკითხს როგორ უყურებ?**

— ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი ისაა, „რუბინში" როგორ ვითამაშებ, მერე კი ვნახოთ...

**— ამ სეზონში „რუბინის" მთავარი მიზანი რა არის?**

— „რუბინი" თასზეც აგრძელებს ბრძოლას, მაგრამ მთავარი ჩემპიონატში მესამე-მეოთხე ადგილზე გასვლაა, რითაც უეფას თასის საგზური უნდა მოვიპოვოთ. რუსეთის პრემიერლიგის დასრულებამდე ცხრა ტურია დარჩენილი და საამისოდ საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს.

**— „რუბინი" მოსკოვის „ლოკომოტივს" და ცეესკას ინფრასტრუქტურითა და ფულით მნიშვნელოვნად ჩამორჩება?**

— ამ კლუბებს „რუბინი" ჯერ ვერ გაუტოლდება, თუმცა, თუ უეფას თასის საგზურს მოვიპოვებთ, „რუბინში" დაფინანსების გაზრდაა მოსალოდნელი. აქ მყარი სიტუაციაა, კლუბის პრეზიდენტი კამილ ისხაკოვი ყაზანის მერი გახლავთ.

**— ყაზანი რამდენად საფეხბურთო ქალაქია?**

— მილიონნახევრიან ყაზანში ფეხბურთი და სპორტი უყვართ. მითხრეს, „რუბინის" საშინაო მატჩებზე ოციათასიანი სტადიონი ივსებაო.

**— „რუბინთან" შენი კონტრაქტის გაგრძელება უეფას თასის საგზურის მოპოვება-არმოპოვებაზე იქნება დამოკიდებული?**

— შესაძლოა, ასეც იყოს. რუსეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი-ხუთი ტური რომ დარჩება, ბევრი რამე მაშინ გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

# 13 და 9

## კოპები და წკიპურტები

### დანია 6:1 საქართველო

— საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დასაბამიდან მეცამეტედ წააგო სამი და მეტი ბურთის სხვაობით, ანუ დიდი ანგარიშით, ხოლო ექვსი ბურთი ერთ მატჩში რომ აქამდე არავის გაუტანია საქართველოს ნაკრებისთვის, ამ ანტირეკორდის შესახებ გუშინდელ „სარბიელშიც" გაუწყეთ.

ახლა კი ყველა ამ ცამეტივე მატჩის ნუსხას გთავაზობთ თარიღებითა და რანგით.

ისე კი, დანიასთან მატჩში მეცხრედ იყო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფეხბურთელი რომ გაუძევეს და ბარემ გაძევებათა სტატისტიკასაც გადავავლოთ თვალი.

**დავით თამართქილაძე**

### დიდი ანგარიშით წაგება

| | | | | | მწვრთნელი |
|---|---|---|---|---|---|
| 11.06.94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | ა. ჩივაძე |
| 06.09.95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ა. ჩივაძე |
| 24.04.96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | ა. ჩივაძე |
| 14.06.97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | დ. ყიფიანი |
| 19.08.98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | ვ. გუცაევი |
| 14.10.98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | ვ. გუცაევი |
| 28.04.99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ვ. გუცაევი |
| 06.06.01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | დ. ყიფიანი/ რ. ძოძუაშვილი |
| 21.08.02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | ა. ჩივაძე |
| 08.09.02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | ა. ჩივაძე |
| 18.02.04 | ნ | სტ | რუმინეთი | 0:3 | გ. ტყებუჩავა |
| 30.03.05 | შ | მჩ | თურქეთი | 2:5 | ა. ქირესი |
| 07.09.05 | ს | მჩ | დანია | 1:6 | გ. დარსაძე |

### გაძევება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.11.95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | გ. ჩიხრაძე (40) |
| 05.12.96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | კ. კალაძე (81) |
| 24.09.97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | კ. კალაძე (63), გ. ქინქლაძე (71) |
| 11.10.97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | მ. ყაველაშვილი (77) |
| 05.09.98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ზ. ჯანაშია (80) |
| 08.09.99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | მ. წერეთელი (80) |
| 01.09.01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | ა. რეხვიაშვილი (65) |
| 30.03.05 | შ | მჩ | თურქეთი | 2:5 | გ. გოგუა (84) |
| 07.09.05 | ს | მჩ | დანია | 1:6 | ზ. ხიზანიშვილი (19) |

*შენიშვნა: სტუმრად, შინ, ნეიტრალური, ამხანაგური, ეჩ — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი, მჩ — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, სტ — საერთაშორისო ტურნირი*

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა**
**პირველი წრე**

**5 ტური ანონსი**

# რკინიგზას ზღვისპირული კვირეული ეწყება
## თამადა შევარდენზე

**ᲐᲰᲐ,** ერთი ანტირეკორდიდა აკლდა საქართველოს ნაკრებს, ერთ მატჩში ექვსი გოლი არასოდეს გაეშვა და... ესეც მოახერხა. გუშინწინდელ შესარჩევ თამაშებში მხოლოდ სან-მარინომ „გვაჯობა" ბელგიაში 0:8 წაგებით.

აი, ასეთ დაღვრემილ გუნებაზე უნდა გადავერთოთ საქართველოს ჩემპიონატზე — პარასკევ-შაბათ-კვირას მეხუთე ტური იმართება.

ტურს ლიდერი ხსნის: დღეს მხოლოდ ერთი შეხვედრაა, ბოლნისის „სიონი" „შევარდენზე" ესტუმრება ოთხქულიან „სოხუმს", რომელმაც საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, მცველი ლევან სილაგაძე დაიმატა. გოჩა ჟორჟოლიანს ბევრი ვეტერანი მოუგროვდა გუნდში, „სიონი" კი მეტწილად პერსპექტიული ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. ხვიჩა ქასრაშვილს წინა ოთხ მატჩში ძირითადი თერთმეტეული არ შეუცვლია. ან რატომ უნდა შეცვალოს...

გორის „დილა" ქულებს სიმეტრიულად აგროვებს — შინ იგებს, სტუმრად აგებს. თუმცა შაბათს ტრადიციის გაგრძელება ძალიან გაუჭირდება, რადგან „ამერი" მასზე ძლიერია გინდ შემადგენლობით, გინდ ფინანსურად და გინდ თამაშის ხარისხით.

„დილასავით" საშინაო მოგებებს ეძალება ფოთის „კოლხეთიც" და ეგებ, ქუთაისის „ტორპედოს" კიდევ ერთი მარცხი აგემოს. ვერაა იმერელთა საქმე კარგად, კინკილა გოლიც სანატრელი გაუხდათ. ფოთელთა ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი კი 17 წლის ზამირ ჯანაშია ჩანს და ამბობენ, ეს ბიჭი უფროს ძმაზე, ზაზაზე მაგარი დადგებაო.

„ლოკომოტივი" ბათუმში შეეცდება წაუგებელი სერიის გაგრძელებას და ეს დავით სირაძის ყოჩაღობაზეც დიდწილად იქნება დამოკიდებული, თუმცა არც ზღვისპირელებს ჰყავთ ჯაბანი გუნდი. მეფსონეების ენაზე რომ ვთქვათ, სამშედეგიანი მატჩია. შაბათიდან ოთხ დღეში „ლოკომოტივს" კიდევ ერთხელ მოუწევს ბათუმში ჩასვლა — 14 სექტემბერს თბილისის „დინამოს" სუპერთასზე შეერკინება.

სხვა რა — „ცხინვალს" გასვლით მატჩებში ქულა არ დაუკარგავს, მაგრამ „დინამოსთან" გაჯიქებას, ალბათ, ვერ მოახერხებს.

თელავში კი „კახეთი" უგოლო და კინკილა ქულიან „სპარტაკს" დაუხვდება და, წესით, ხელცარიელი უნდა გაუშვას დედაქალაქში.

ტურის ბოლო მატჩში კი ისნური დერბია: აუტსაიდერი „თბილისი" თანამოედნელ, ყოჩაღ დებიუტანტ „ბორჯომთან" შეეცდება პირველი ქულის (ან ქულების) მოხვეჭას. გიორგი დევდარიანის გუნდს რამდენიმე ჭაბუკი დააკლდება — ისინი ესტონეთში არიან, სადაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევი მატჩები ელის.

სწორედ ესტონეთის გამო გადაიდო „ზესტაფონი" — „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრა. ფეროელთაგან ხუთი ფეხბურთელია ბალტიისპირეთში წასული: ბექა გოცირიძე, გიორგი ხიდეშელი, გიორგი განუგრავა, ლადო ლაფერაშვილი და გიორგი გიორგიძე.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ბორჯომი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ამერი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ცხინვალი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| დილა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | 6 |
| სოხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:3 | 1 |
| ტორპედო | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |

თბილისი. 9 სექტემბერი. 14 საათი. შევარდენი

**სოხუმი — სიონი**

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); **ინსპექტორი:** ვ. ქორიძე

გორი. 10 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — ამერი**

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია

ბათუმი. 10 სექტემბერი. 16 საათი. დინამო

**ბათუმი — ლოკომოტივი**

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** გ. სორდია

ფოთი. 10 სექტემბერი. 16 საათი. ფაზისი

**კოლხეთი — ტორპედო**

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); **ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

თელავი. 10 სექტემბერი. 16 საათი. გივი ჩოხელი

**კახეთი — სპარტაკი**

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); **ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

თბილისი. 10 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო — ცხინვალი**

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); **ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

თბილისი. 11 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი

**თბილისი — ბორჯომი**

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი); **ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

**ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია**

*გადაიდო*

# ესტონეთი — ჟორჟიკაშვილის სამიზნე მოახლოვდა



**13 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ესტონეთში ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი ეწყება. ნაკრების 15 ფეხბურთელი დანია — საქართველოს ეროვნულ გუნთა მატჩის შემდეგ გაფრინდა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში. მათთან ერთად გაემგზავრა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი გაიოზ დარსაძეც.

ქართველ 19-წლამდელებს ჯგუფში მეტოქეებად მასპინძელი ესტონეთი, ლიტვა და სლოვენია ეყოლებათ. ჯგუფიდან ორი გუნდი გადის მეორე შესარჩევ ეტაპზე, სადაც გაისად ასევე ოთხგუნდიანი ჯგუფი შედგება და მხოლოდ პირველადგილოსანი გაინაღდებს ფინალური ეტაპის საგზურს.

კობა ჟორჟიკაშვილმა საესტონეთო სამზადისი ახალგაზრდული ნაკრების ჩაბარებისთანავე დაიწყო. სწორედ ამ მიზნით ათამაშებდა 21-წლამდელთა გუნდში 17-18-19 წლის ბიჭებს — გამოცდილება მიაღებინა და, წესით, ესტონეთი-ლიტვა-სლოვენიის კომპანიაში პირველ-მეორე ადგილებზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს.

აქვე ქართველთა ჯგუფური მატჩების განრიგსაც გთავაზობთ:

13 სექტემბერი
**საქართველო — ლიტვა**
*(თბილისის დროით 17 საათზე)*
15 სექტემბერი
**საქართველო — სლოვენია**
*(17 საათზე)*
17 სექტემბერი
**საქართველო — ესტონეთი**
*(17 საათზე)*

და კიდევ: დანიასთან მატჩის დასრულებისთანავე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა მაროკოში გაფრინდნენ ფიფას კონგრესზე დასასწრებად. ისინი 20 სექტემბერს დაბრუნდებიან თბილისში.

**ილია ნანობაშვილი**



გიორგი ფოფხაძე (მარცხნივ) შვედეთში იბურთავებს

# ფოფხაძეს შვედეთი დანიაში გამოუვიდა

**„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ"** წასული მცველი გიორგი ფოფხაძე შვედურ „ჰაკენში" ითამაშებს — ეს ამბავი თითქმის 99 პროცენტით გადაწყვეტილია. ჩვენებური ორიოდ კვირის წინ წავიდა სკანდინავიაში და თავიდან სწორედ „ჰაკენს" მიაკითხა, მერე კი იყო რამდენიმე დანიური კლუბი, თუმცა გიორგის აყვანის ყველაზე დიდი სურვილი შვედებმა გამოხატეს და ფეხბურთელს 2+1-წლიანი კონტრაქტის ასლიც გაუგზავნეს.

ფოფხაძე ახლა საქართველოშია, უახლოეს დღეებში „თბილისის" ხელმძღვანელობას შეხვდება, ახალ ვიზას აიღებს და სეზონისწინა შეკრების გასავლელად თვის ბოლოსთვის „ჰაკენს" შეუერთდება.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

# თხუთმეტგოლა ტური

I ჯგუფი

**ჩეხეთი 4:1 სომხეთი**

1:0 პეინცი (47), 2:0 პოლაკი (52), 3:0 ბაროში (58), 4:0 პოლაკი (76), 4:1 არა აკოფიანი (86)

**ჩეხეთი:** ბლაჟეკი, როზენალი (სივოკი 70), უიფალუში, გრიგერა, გალაშეკი, პოლაკი, სკაჩელი (შმიცერი 46), პობორსკი, პეინცი, კოლერი, ბაროში (იუნი 80)

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ოვსეპიანი, არზუმანიანი, დოხოიანი, ტადევოსინი (მელიქიანი 64), ვ. ალექსანიანი, კ. ალექსანიანი, ხაჩატურიანი (ტიგრანიანი 71), მკრტიჩიანი, არამ აკოფიანი (პეტროსინი 57), არა აკოფიანი

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

**სომხეთი** შესვენებამდე გაუძალიანდა ჩეხეთს და მეკარესთან პირისპირ გასულ არა აკოფიანს რომ ეყოჩაღა, სტუმრები კიდეც დაწინაურდებოდნენ.

სამეორეტაიმოდ კარელ ბრიუკნერმა ვლადიმერ შმიცერი შეუშვა, რომელმაც თამაში დაალაგა და გოლმაც არ დაახანა; პეინცმა, პოლაკმა და მილან ბაროშმა თერთმეტ წუთში სამჯერ გაამიატანინეს ბურთი კარიდან ბერეზოვსკის. გალაღებულმა ჩეხებმა თავბრუ დაახვიეს მეტოქეს მეთიხე, პოლაკის გოლი კი საუცხოო გამოდგა — საკუთარი ნახევრიდან იარა და საჯარიმოს ხაზამდე არმისულმა ბურთს ისე ლეწა, რომ სომეხია მეკარე უშანსოდ დატოვა.

**ჰოლანდია 4:0 ანდორა**

1:0 ვან დერ ვაარტი (23), 2:0 ლიმა (27ს.კ.), 3:0 4:0 ვან ნისტელროი (42; 89)

*83-ე წუთზე ვან ნისტელროიმ ვერ გაიტანა პენალტი*

**ჰოლანდია:** ვან დერ საარი, ბულარუზი, ოპდამი, ლუსიუსი (ვენეგოორ ოფჰესელინკი 67), რობენი, ვან პერსი, ვან ნისტელროი

**ანდორა:** ალვარესი, ფერნანდესი, სანჩესი, ლიმა, აიალა, ხიმენესი (სანჩესი 76), რუისი (30), სივერა, სონეხე, ბერნაუსი, სილვა (რიერა 53)

**გაძევება:** კოკუ (38)

**მსაჯი:** ატილა ჰანაშეკი (უნგრეთი)

**უნგრელმა** მსაჯმა სახეში კოკუ მეტოქისთვის სახეში იდაყვის ჩარტყმის გამო გააძევა, მაგრამ ანდორას დამარცხება ათმა ჰოლანდიელიც მოახერხა.

რაფაელ ვან დერ ვაარტს გოლს სტუმარმა ანტონიო ლიმამ საკუთარ კარში გატანილით „უპასუხა“. ფერნანდო სილვა ვან დერ ვაარტს ეუხეშა, თანაგუნდელს კი კოკუ გამოექომაგა და სილვას იდაყვი ჰკრა, რისთვისაც მოედნიდან მოედნიდან მიაბრძანეს. პირველი ტაიმის მიწურულს ვან ნისტელროიმ მესამე გაუტანა ალვარესს, ხოლო 83-ეზე მანჩესტერელმა პენალტით ვერ იხეირა — ბურთი ძელს მიუჭახუნა. ფორვარდმა შეცდომა მოგვიანებით გამოასწორა და ბოლოსწინა წუთზე ალვარესი მეოთხედ დაამწუხრა.

**ფინეთი 5:1 მაკედონია**

1:0, 2:0 ფორსელი (11, 13), 3:0 ტიჰინენი (42), 3:1 მაზნოვი (49), 4:1 ერიომენკო (55), 5:1 ფორსელი (62)

**ფინეთი:** კავენი, ჰიიპია, პარნენი, ტიპინენი, საარინენი (ნიუმანი 53), ტაინიო (იუჰანსონი 82), ჰეიკინენი, რიიჰილაჰტი (72), კალიო ერიომენკო, ფორსელი

**მაკედონია:** იოვჩევი, ბოჟინოვსკი, ლაზარევსკი, ნოვესკი, მუსტაფი, მიტრესკი, შუმულიკოსკი, პოპოვი, გროზდანოვსკი (იგნატოვი 58), მაზნოვი, პანდევი

**მსაჯი:** კრისტიან იაკობსენი (ისლანდია)

**„ბირმინგემის“** ფორვარდმა მიკაელ ფორსელმა ჰეთ თრიქი გააფორმა. აქედან ორი გოლი ორწუთიან მონაკვეთში შეაგდო. იოვჩევთან პირისპირ გასულმა ანგარიში გახსნა, მერე კი საჯარიმო ხაზიდანაც საგოლედ დაარტყა. პანუ ტიპინენმა შესვენებამდე სამი წუთით ადრე თავით გაიტანა, ხოლო მაზნოვმა მეორე ტაიმის დასაწყისში ერთი გაქვითა. იოვჩევმა აშკარად „ყლაპა“ 20-მეტრიდან ერიომენკოს დარტყმული ბურთი და სხვაობა კვლავ სამამდე გაიზარდა, ბოლოს კი ფორსელმა დაასრულა მაკედონიელთა რბევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 10 | 9 | 1 | 0 | 25:3 | 28 |
| ჩეხეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 32:10 | 24 |
| რუმინეთი | 11 | 7 | 1 | 3 | 19:10 | 22 |
| ფინეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 21:15 | 16 |
| მაკედონია | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | 8 |
| ანდორა | 11 | 1 | 2 | 8 | 4:31 | 5 |
| სომხეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 6:25 | 4 |



ჩეხეთი — სომხეთი 4:1. ბურთისთვის ბრძოლაში ჩეხმა კოლერმა და სომეხმა დოხოიანმა თვალები დახუჭეს

# მერკმა სიკვდილი გააძევა

## ჩონტოფალსკური საქციელი

III ჯგუფი

**რუსეთი 0:0 პორტუგალია**

**რუსეთი:** აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, სმერტინი, სენნიკოვი, იგნაშევიჩი, იზმაილოვი (სემაკი 74), ალდონინი, ბილიალეტდინოვი, არშავინი (ანიუკოვი 88), კერჟაკოვი

**პორტუგალია:** რიკარდუ, პაულუ ფერეირა, ანდრადე, ნუნუ ვალენტე, კარვალიო, კოშტინია, კრისტიანო რონალდო, მანიშე (ჟოან მოუტინიუ 84), დეკო (სიმაო საბროსა 77), ფიგუ, პაულეტა (პოსტიგა 68)

**გაძევება:** სმერტინი (44)

**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

**„ლიხტენშტაინთან** და პორტუგალიასთან მატჩებმა დაგვანახა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება შეგვიძლია — თქვა იური სიომინმა — რაც შეეხება სმერტინის გაძევებას, მარკუს მერკი აშკარად შეცდა“.

ლუის ფელიპე სკოლარი: „საკმაოდ ლალი მატჩი გამოვიდა, რადგან ორივე გუნდი მოსაგებად თამაშობდა. კაცნაკლულობის მიუხედავად, რუსეთმა მეორე ტაიმში გვარიანად გვანერვიულა, მაგრამ ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწიეთ. ჯგუფში პირველი ადგილის გასანაღდებლად დარჩენილ ორ შეხვედრაში სამი ქულა გვჭირდება“.

ალექსეი სმერტინმა ორ წუთში გაავდებინა თავი მარკუს მერკს. ჯერ კრისტიანო რონალდოს ეუხეშა, რომელმაც მატჩის წინ მამის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, მერე კი პაულუ ფერეირა ჩაჩეხა და გერმანელმა მსაჯმა რუსთა კაპიტანი გააძევა.

პორტუგალიას ფრეც ხელს აძლევდა, მასპინძლებს კი წაგება სატურნირო მდგომარეობას გაუუარესებდა. კაცგაძევებულმა რუსეთმა მთელი ძალით შეტევა ველარ გარისკა და არც სტუმრებს გადაუჯეგიათ მეტოქის საჯარიმო. საგოლე მომენტები იშვიათად იყო, ტაბლოზე კი „ბუბლიკები“ დარჩა, რომლებმაც ორივე გუნდი დააპურა.



რუსეთი — პორტუგალია 0:0. ალექსეი სმერტინმა და სერგეი ალდონინმა პორტუგალიელი ანდერსონ სოუზა გაჩხირეს

**ლატვია 1:1 სლოვაკეთი**

0:1 ვიტეკი (35), 1:1 ლაიზანსი (74)

**ლატვია:** კოლინკო, კორაბლიოვსი (ზავორონკოვსი 24), ისაკოვსი, ზარკრჯევსკისი, ზირნისი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი, ლაიზანსი, რუბინსი, რიმკუსი (მოროზსი 71), ვერპაკოვსკისი

**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, ჰადი, კრატოჩვილი, შკრეტელი, ვალაჩოვიჩი (ვარგა 86), ზაბავნიკი, გრეშკო, კარჰანი, ჰოლოშკო (კიშელი 77), მინტალი (ჰლინკა 65), ვიტეკი

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

**სლოვაკეთს** შეეძლო რიგაშივე მოეყუჩებინა სამი ქულა და მდევარ რუსეთს დასხლტომოდა, მაგრამ მეკარე ჩონტოფალსკის ახირებამ სტუმრები ფრეს დააჯერა.

სლოვაკთა მეგოლე მარეკ მინტალს პირველი ტაიმის დასაწყისშივე ორი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ კოლინკომ არ გაატანინა. სამაგიეროდ ვიტეკმა იყოჩაღა, რომელმაც გრეშკოს ჩაწოდებული ბურთი თავით ლატვიელთა კარში შეაგდო.

შეხვედრის დასრულებამდე თექვსმეტი წუთი რჩებოდა, როცა სტუმართა მეკარემ თამაში ბურთის შეყვანა დააგვიანა და ავსტრიელმა მსაჯმა მასპინძელთა სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. ლაიზანსმა მეტოქის „ცოცხალ კედელში“ გააძვრინა ბურთი და ჩონტოფალსკის კარში შეაბრძანა.

**ლიხტენშტაინი 3:0 ლუქსემბურგი**

1:0 ფრიკი (32), 2:0 ფიშერი (77), 3:0 ბეკი (90)

**გაძევება:** ორელინი (58, ლუქსემბურგი)

**ლიხტენშტაინმა** ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. მასპინძლებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში პირველი საშინაო მატჩი მოიგეს. სლოვენიელმა მსაჯმა დამირ სკომინამ ლუქსემბურგელი იოაკიმი მეორე ტაიმის დასაწყისში გააძევა. თერთმეტნი ხომ „ბდღვნიდნენ“ მეტოქეს და ათნი, თანაც ლუქსემბურგელები, რაღას იზამდნენ?

მარიო ფრიკმა, რომელსაც იტალიურ „ვერონაში“ უთამაშია ანგარიში თავური დარტყმით გახსნა. ბენჯამინ ფიშერმა სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო ტომაშ ბეკმა მესამე მიაყოლა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 10 | 7 | 3 | 0 | 30:4 | 24 |
| სლოვაკეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 23:8 | 19 |
| რუსეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 18:11 | 19 |
| ლატვია | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 15 |
| ესტონეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | 14 |
| ლიხტენშტეინი | 11 | 2 | 2 | 7 | 12:21 | 8 |
| ლუქსემბურგი | 10 | 0 | 0 | 10 | 4:41 | 0 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## ფრანგულმა გაჭრა



ირლანდია — საფრანგეთი 0:1. რიჩარდ დანი ზინედინ ზიდანს აჩერებს

**IV ჯგუფი**

**ირლანდია 0:1 საფრანგეთი**

**0:1 ანრი (68)**

**ირლანდია:** გივენი, კანინგემი, დანი, კარი, ოში (ჰარტი 80), როი კინი, დაფი, რეიდი, კილბეინი (დოჰერტი 80), რობი კინი, მორისონი

**საფრანგეთი:** კუპე, ტურამი, გალასი, ბუმსონგი, სანიოლი (გივე 90), ვიეირა, დორასო, მაკელელე, ზიდანი (მალუდა 70), ვილტორდი, ანრი (სისე 76)

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი გერმანია)

**საფრანგეთმა** დუბლინში მოიგო, რაც 51 წელიწადია არ გაუკეთებია, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საფრანგეთმა მოიგო თამაში, რომელიც უნდა მოეგო, ფორემ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი ფაქტობრივად დაეკარგებოდა. და კიდევ, საფრანგეთმა მოიგო საკაოდ ძლიერ მეტოქესთან, თან სტუმრად, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გუნდი ზინედინ ზიდანის დაბრუნების შემდეგ მართლა ძალიან გამოიცვალა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელმა, ტიერი ანრიმ 25 მეტრიდან დარტყმით გაიტანა.

„უკვე შემდეგ თამაშზე ვფიქრობ, — განაცხადა მატჩის შემდეგ საპრესკონფერენციო დარბაზში შესულმა რაიმონ დომენეკმა, — ახლა, 8 ოქტომბერს, შვეიცარიაში უნდა მოვიგოთ, ვინაიდან იქ ცუდად თამაში მდგომარეობას ხელახლა და თან ძალიან გაგვირთულებს"

დომენეკის ირლანდიელ კოლეგას, ბრაიან კერს კი უბრალოდ არ სჯეროდა, რომ მისმა გუნდმა წააგო.

„დამარცხებას არ ვიმსახურებდით. ჩვე ორგანიზებული, მოწესრიგებული და თავდადებული ფეხბურთი ვითამაშეთ" — თქვა მან.

შემდეგი თამაში, ზემოთნახსენებ 8 ოქტომბერს, ირლანდიის ნაკრებს კვიპროსზე აქვს, მაგრამ იმ შეხვედრაში გუნდს ვერ დაეხმარებიან ფრანგებთან ჯახაჯუხში გაყვითლებულლები, ენდი რიდი, კენი კანინგემი და როი კინი. მასპინძლებთაგან გააფრთხილეს მცველი სტივენ კარიც, ფრანგთაგან კი ზიდანი და სანიოლი დაისაჯნენ.

გაშვებული გოლის შემდეგ ირლანდიელებმა ყველა ღონე იხმარეს ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ იან ჰარტისა და გერი დოჰერტის დასვენებული ფეხები ამ ამოცანის გადასაწყვეტად საკმარისი არ გამოდგა.

საფრანგეთმა „ლენსდაუნ როუდი" პირველ წუთებზე დაიპყრო და მალე მომენტიც შექმნა — 25 მეტრიდან ზიდანის დარტყმული ჯარიმა მეკარე გივენმა მოიგერია — მაგრამ შემდეგ ინიციატივა ირლანდიისკენ გადავიდა და ეყვრი მასპინძლები უკვეთავდნენ მუსიკას. გოლის გატანა შეეძლოთ რიდს, მორისონსა და რობი კინს.

**პაპუნა კედია**

**ფარერები 0:2 ისრაელი**

**0:1 აფი ნიმნი (55), 0:2 იანივ კატანი (80)**

**კვიპროსი 1:3 შვეიცარია**

**0:1 ფრეი (15), 1:1 ალონეფტისი (35), 1:2 სენდეროსი (69), 1:3 გიგაქსი (84)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 4 | 4 | 0 | 17:6 | 16 |
| საფრანგეთი | 8 | 4 | 4 | 0 | 9:1 | 16 |
| ისრაელი | 9 | 3 | 6 | 0 | 13:9 | 15 |
| ირლანდია | 8 | 3 | 4 | 1 | 11:5 | 13 |
| კვიპროსი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:15 | 4 |
| ფარერები | 9 | 0 | 1 | 8 | 3:25 | 1 |

## გააგდეთ შვედი



სვენ გორან ერიკსონი



ჩრდ. ირლანდია — ინგლისი 1:0. ასე იზეიმა ინგლისის მძლეველმა ჩრდილო ირლანდიამ

**VI ჯგუფი**

**ჩრდ. ირლანდია 1:0 ინგლისი**

**1:0 ჰილი (74)**

**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, ბერდი, ჰიუზი, კაპალდი, კრეგანი, დევისი, გილესპი, ჯონსონი, ჰილი (სპრულო 88), ქუინი(ფინი 79), ელიოტი (დაფი 90)

**ინგლისი:** რობინსონი, ფერდინანდი, იუნგი, კარაგერი, ეშლი კოული, ლამპარდი (ჰარგრივსი 80), ბექემი, ჯერარდი (დეფო 75), შ. რაიტ-ფილიპსი (ჯო კოული 54), ოუენი, რუნი

**მსაჯი:** ბუზაკა (შვეიცარია)

**„გააგდეთ შვედი"!** ეს იყო ნაკრებს ადევნებულ ინგლისელ ფანთა ერთადერთი შეძახილი ბელფასტური მატჩის შემდეგ, რომელშიაც ჩრდილოეთ ირლანდიამ ინგლისს 1:0 მოუგო.

ჩრდილოელებს ინგლისელთათვის 1972 წლის შემდეგ არ მოეგოთ, ამ თამაშის ერთადერთი გოლი კი „ლიდსის" თავდამსხმელმა დევიდ ჰილიმ გაიტანა სტივ დევისის პასის შემდეგ 73-ე წუთზე. ინგლისელთა მოულოდნელმა მარცხმა ძალიან გაართულა მათი მსოფლიო ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა. ახლა მათ ორივე თამაში უნდა მოიგონ, ავსტრიელებთან და პოლონელებთან. ერიქსონის გეგმა დევიდ ბექემით მოედნის შუაგულში და უეინ რუნით მარცხენა ფრთაზე, ჩავარდა. რუნი საერთოდაც თავისიანებს დაერია: ბექემს ხელი ჰკრა და რიო ფერდინანდს აგინა, რისთვისაც ყვითელი მიიღო და საერთოდაც ამ ბიჭის ქცევა, განსაკუთრებით თამაშის ბოლო წუთებში ძალიან ძნელი ასატანი იყო.

ინგლისელთაგან საუკეთესო შანსი ბექემს ჰქონდა, რომელმაც 27-ე წუთზე ჯარიმიდან ძელი დააზანზარა. ერთი კარგი ბურთი ფრენკ ლამპარდსაც აუღო მეკარე ტეილორმა. თამაშის მიწურულს კი ნაკრებში მობრუნებულ მაიკლ ოუენს შეეძლო გაითანაბრება თავური დარტყმით.

სვენ გორან ერიქსონმა კი თქვა: „გავიგონე, ფანები რომ გადადგომას მთხოვდნენ. ეს გასაგებია, როცა ასეთ გუნდთან აგებ. ამაზე არ ვკამათობ. მაგრამ არც წასვლას ვაპირებ. ის ორი თამაში უნდა მოვიგოთ. ჩვენნაირმა გუნდმა ასეთი თამაშები უნდა მოიგოს. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ასე მოხდა. ჩვენ იმ ორ თამაშს მოვიგებთ და მსოფლიო თასზე გავალთ".

ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისმა შვედის ხელში პირველად წააგო შესარჩევი თამაში. ჩრდილოირლანდიელთა მენეჯერი ლორი სანჩესი კი ხარობდა: „თამაშის წინ ბიჭებს არ სჯეროდათ, რომ მოგება შეეძლოთ, შესვენებაზე კი ვიგრძენი, რომ ჩემი ნალაპარაკების რწმენა გასჩენოდათ".

ბელფასტში სიხარული დიდი იყო: ჩრდილოირლანდიელებს ინგლისელებისთვის შინ 78 წელიწადი იყო არ მოეგოთ.

ინგლისელებს კი, მოუწესრიგებლობა დანიასთან 1:4-ზე წაგებულ ამხანაგურ მატჩშიც დაეტყოთ და უელსში რის ვაინაჩრობით მოგებულ თამაშში. ექსპერტები კი ამბობენ, რომ დიდი შანსია, ავსტრიასთან და პოლონეთთან ინგლისს ახალი მწვრთნელი გაუძღვეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

**პოლონეთი 1:0 უელსი**

**1:0 ჟურავსკი (53 პენ)**

**პოლონეთი:** ბორუკი, იოპი, რჟასა, ბესჩინსკი, კოსოვსკი (რადომსკი 78), ბაკი, საბოლევსკი, სმოლიარეკი (ჟევლაკოვი 85), ჟურავსკი, სჟიმკოვიაკი, რაშიაკი (ფრანკოვსკი 65)

**უელსი:** კოინი, ტვარდსი (დაფი 45), გაბიდონი, ჯეიმს კოლინზი, რიკეტსი, საიმონ დევისი, კუმასი (ფრეიგ დევისი 68), ფლეტჩერი, პარტრიჯი, გიგზი, ერნშოუ (ლედლი 80)

**გაფრთხილება:** სჟიმკოვიაკი, გაბიდონი

**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

**14 000 მაყურებელი**

**პოლონელებმა** უელსს ერთადერთი გოლი და ისიც პენალტით გაუტანეს, თუმცალა სლავთა გამარჯვება სავსებით დამსახურებული გახლდათ. სხვა რომ არაფერი უელსელებმა ოდენ ორჯერ დაარტყეს პოლონელთა კარში — რობ ერნშოუმ და რაინ გიგზმა, მაშინ როცა პირველ ტაიმშივე ბრიტანელთა მეკარე დენი კოინმა სამი რთული ბურთი მოიგერია.

კიდევ ვთქვათ, რომ პოლონეთს თითქმის განაღდებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, ხოლო უელსს მიჯრით 14 მატჩი არ მოუგია და ცხრილში, ვაი რომ, აზერბაიჯანზე ქვევითაა.

ამ მატჩში ჟურავსკის გოლს კი წინაისტორია აქვს. პირველ ტაიმში უელსელთა მცველი ელვარდსი ვერაფერს გახდა კოსოვსკის წინააღმდეგ, რის გამოც მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა მეორე ტაიმში ის რიჩარდ დაფით შეცვალა. ჭოვენთრელი მცველი თამაშში კარგად კი ჩაერთო, მაგრამ ერთ ეპიზოდში მეტოქესთან ვერაფერს გახდა და პენალტიც აიკიდა.

**კოტე კეკელია**

**აზერბაიჯანი 0:0 ავსტრია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 26:7 | 24 |
| ინგლისი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| ავსტრია | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 8 | 2 | 3 | 3 | 8:13 | 9 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 3 | 6 | 1:19 | 3 |
| უელსი | 8 | 0 | 2 | 6 | 5:13 | 2 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## ლიპის ახალი ტონი

**V ჯგუფი**

**ბელარუსი 1:4 იტალია**

**1:0 კუტუზოვი (4), 1:1, 1:2 ტონი (5, 13), 1:3 კამორანეზი (45), 1:4 ტონი (54)**
**ბელარუსი:** ჟევნოვი, ომელიანჩუკი, იაშკოვიჩი (ტარლოვსკი 34), შტანუკი, კოვბა, ლავრინი, კულჩი (კორიტკო 79), ბელკევიჩი, ა. გლები, ბელიგა, კუტუზოვი (ვ. გლები 75)
**იტალია:** პერუცი, ძაკარდო, ნესტა, კანავარო, გროსო, კამორანეზი (ბარძალი 84), პირლო, გატუზო, ტოტი, ჯირალდინო (ბარონე 56), ტონი (ლაკინტა 66)
**მსაჯი:** ტემინკი (ჰოლანდია)

**ლუკა ტონის** ჰეთ თრიქმა თითქმის გადაწყვიტა — იტალია მსოფლიოს ჩემპიონატზეა, ბელარუსის ნაკრები კი ლუკაშენკოსთან დარჩება. რა თქმა უნდა, არის ვარიანტი, რომ „სკუადრა აძურა“ მუნდიალზე ვერ მოხვდეს და იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ბელარუსი გერმანიაში გაემგზავროს, მაგრამ ამგვარ ძნელად დასაჯერებელ ჰიპოთეზებზე დროს ნუ დავკარგავთ.

სანამ უშუალოდ მატჩის პერიპეტიებზე გადავალთ, მოკლედ იტალიელთა შემადგენლობაზე მოგახსენებთ. მარჩელო ლიპიმ ვერ დაიხმარა დისკვალიფიცირებული ჯანლუკა ძამბროტა და დანიელე დე როსი, ხოლო ალესანდრო დელ პიერო დაშავებული იყო. სამაგიეროდ, წინა მატჩისგან განსხვავებით, შემადგენლობას დაუბრუნდა ალბერტო ჯილარდინო, ვინაც წინა შაბათს მწვრთნელმა არ ათამაშა. ჯილარდინო შეტევაში ტონის შეუწყვილდა, მათ კი უკნიდან ფრანჩესკო ტოტი ეხმარებოდა.

ბელარუსის ნაკრებში გამოსარჩევი ფეხბურთელები სამპდორიელი ვიტალი კუტუზოვი და „არსენალის“ ახალწვეული ალექსანდრ გლები გახდნენ.

თამაში კუტუზოვის სწრაფი და მოულოდნელი გოლით დაიწყო — კოვბამ იტალიელი მცველები ჩამოიტოვა და კუტუზოვს უპასა. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

მაგრამ ბელარუსებს გახარება არ დასცალდა, იტალიას კი გაოგნება — მაურო კამორანეზის ასისტენტობით ლუკა ტონიმ დაუყოვნებლივ გაათანაბრა. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ხუთ წუთში, ანუ მე-10 წუთამდე, ტონის კიდევ ორი ძალიან ხელსაყრელი საგოლე მომენტი ჰქონდა.

თუმც მეორე გოლი ტონიმ მაინც მალევე გაიტანა. ტოტიმ კომბინაცია წამოიწყო, გროსომ გააგრძელა, ფიორენტინელმა კი მოხდენილი თავურით დაასრულა.

ვინმლო არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვით, რომ ორიოდე ნაღდი მომენტი ტონის კიდევ ჰქონდა.

ამის მერე კამორანეზის ჯერიც დადგა, რომელზეც ტოტი მოემსახურა და ტაიმიც ამით დასრულდა, ოღონდ სანამ მეორე ნახევარზე გადავალთ, დავძინოთ, რომ შესვენებამდე გლებმა და ბელკევიჩმა ორჯერ პანიკა დათესეს „სკუადრას“ საჯარიმოში.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად, ანუ მასპინძელთა სწრაფი გოლით შეიძლებოდა დაწყებულიყო, მაგრამ ბელიგას დარტყმულს ბოლო წამს კანავარომ ფეხი დაუხვედრა და მიმართულება შეაცვლევინა. ამის მერე ერთხანს ისევ



ბელარუსი — იტალია 1:4. ლუკა ტონიმ ჰეთ თრიკი შეასრულა

ბელორუსები აქტიურობდნენ, სანამ სტუმრებმა კლასიკური და მათთვის აგრეთვე მშობლიური კონტრშეტევით, მეტოქე საბოლოოდ არ გატეხეს. ტონიმ ეს გოლი ჯილარდინოს პასით გაიტანა.

ხოლო როცა იტალიელებმა შეიტყვეს, რომ უახლოესმა მდევარმა ნორვეგიამ მარცხი იწვნია, ბუნებრივია ორმაგად გაიხარეს.

„ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ — თქვა ნამატჩევს ლიპიმ — ტონი, ჯილარდინო და ტოტი კი შეუდარებლები იყვნენ. თან შოტლანდიელებიც ხედავთ, როგორ დაგვეხმარნენ?!“

**ნორვეგია 1:2 შოტლანდია**

**0:1, 0:2 მილერი (21, 31), 1:2 აარსტი (89)**
**ნორვეგია:** მორე, ბერგდოლმო, რიზეტი, ლანდეკვამი, როსი, სოლი (ჰესტადი 46), ანდერსენი, გრინდეიმი, ვალენსია (ბრაატენი 46), კარეუ, ოსტენსტადი (აარსტი 46)
**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, ვეირი, პრესლი, ვებსტერი, ფლეტჩერი, ფერგიუსონი, მაკნამარა, მაკფადენი (ბიტი 72), ჰართლი, მილერი (მაკკანი 40)
**გაფრთხილება:** ოსტენსტადი, კარეუ, მაკფადენი
**მსაჯი:** ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

**კენი მილერი** მწვრთნელმა მე-40 წუთზე შეცვალა, მაგრამ შოტლანდიელ ფორვარდს იმ დროისთვის ვალი მოხდილი ჰქონდა — მისმა ორმა გოლმა სქოთებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეუნარჩუნა. ეს შანსი მაინცდამაინც დიდი არ არის, ამიტომ შეგვიძლია ასეც ვთქვათ: კენი მილერმა უპირველესად იტალიას და სლოვენიას გაუიოლა ცხოვრება, რის თაობაზეც ამ გუნდების მატჩების მიმოხილვებში უკვე მოგახსენეთ. და აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ კენი მილერი ის ფეხბურთელია, ვისმა გოლმაც წინა შაბათს სქოთებს „სკუადრა აძურასთან“ ქულა მოაპოვებინა.

პირველი გოლი მილერმა ჯეიმს მაკფადენის პასით გაიტანა, მეორე გოლისას კი მან ნორვეგიელი მცველის ანდრე ბერგდოლმოს შეცდომით ისარგებლა, რომელმაც ბურთის საკუთარი საჯარიმო მოედნიდან გამოტანა ვერ მოახერხა. ოლე მარტინ აარსტის ბოლოსწინა წუთზე გატანილმა ერთმა საპასუხო გოლმა კი, ცხადია, ველარაფერი შეცვალა.

სხვათა შორის, შოტლანდიელთა პირველი გოლის თანაავტორი მაკფადენი შემადგენლობაში ნოჯელ კაშის ტრავმის გამო მოხვდა, ნორვეგიელებს კი, თუ ეს თავის გასამართლებლად გამოადგებათ, იან ინგე ჰოლანდი, ერიკ ჰაგენი და მორტენ პტერსენი აკლდათ — სამივე დისკვალიფიკაციის გამო. ვიკინგთა შთამომავლებს ტრავმირებული სტეფან ივერსენიც არ ჰყავდათ.

მატჩის დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდათ. სქოთთა მეკარე კრეიგ გორდონს რამდენჯერმე მოუხდა თავის გამოჩენა, კლაუს ლანდეკვამის გოლი კი მსაჯმა გააუქმა — გოლამდე მასპინძლები დარენ ფლეტჩერის წინააღმდეგ დაჯარიმდნენო. მეტიც, შოტლანდიელებმა პირველი გოლი თავისი პირველი იერიშისას გაიტანეს, ანუ 21-ე წუთამდე ნორვეგიელები არ შეუწუხებიათ. ბარი ფერგიუსონმა ძელთან ჩაჭკიდა, ბურთი უკან გადმოაგდეს და მილერმა მეკარის ბაქნიდან დასცხო.

ამის მერე მოფერიანებულმა შოტლანდიელებმა, რომ იტყვიან, თვალში გამოიხედეს და პირველი ტაიმის დარჩენილი დრო მათი კარნახით წარიმართა. მეორე გოლი, როგორც თავში მოგახსენეთ, ბერგდოლმოს შეცდომას მოჰყვა, რომელმაც დანაშაული იმით „გამოისყიდა“, რომ ტაიმის მიწურულს მილერს ტრავმა აჰკიდა და შესაცვლელი გახდა. თუმცა დაშავებამდე მილერს ჰეთ თრიქის გახერხების შანსიც ჰქონდა.

ოქმიდან შეამჩნევდით, რომ ნორვეგიელთა მწვრთნელმა ჰარეიდემ შესვენებისას სამივე შეცვლის უფლება გამოიყენა, მაგრამ რა შედეგი მოუტანა, ამასაც ოქმშივე ამოიკითხავთ — ერთი არაფრის მომტანი გოლი.

**მოლდოვა 1:2 სლოვენია**

**1:0 როგაჩევი (34), 1:1 ლავრიჩი (47), 1:2 მატეი მავრიჩი (57)**

**მათ რიცხვში,** ვინც ნორვეგიის მარცხმა გაახარა, სლოვენიელებიც არიან — მათთვის მეორე ადგილზე გასვლის შანსი ერთიორად გაიზარდა.

მოლდოვა ჯგუფის უპირობო აუტსაიდერი კი გახლავთ, მაგრამ წინა შაბათს ბელარუსთან პირველი გამარჯვება მოიპოვა და ამდენად, სლოვენიელებს სიფრთხილე მართებდათ. თუმცაღა სიფრთხილემ სტუმრები გაშვებული გოლისგან ვერ იხსნა — 34-ე წუთზე როგაჩუკმა ძლიერი თავურით ანგარიში გახსნა.

სლოვენიელთა სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ პანიკას არ მიეცნენ და მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გარჯაც დაუფასდათ. შეცვლაზე ერთი წუთის შესულმა ლავრიჩმა გაათანაბრა.

ამის მერე სლოვენიელებს, ცხადია, მოგებაზე ფიქრიც შეეძლოთ და მასპინძლები მათსავე ნახევარს მიაჯაჭვეს. მალე მეორე გოლიც გატიანეს — მავრიკს მოლდოველი მცველისგან ასხლეტილი ბურთი მიუვიდა და დარტყმა არ დააცდინა.

ამის მერე სლოვენიელები რამდენადმე მოუშვნენ, მოლდოვა კი გასათანაბრებლად გაიწია, თუმცა უშედეგოდ.



ნორვეგია — შოტლანდია 1:2. ნორვეგიელი იონ კარეუ სქოთებს, გრემ ალისანდერს და სტივ პრესლის შორის

**ტურნირის ცხრილი** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 14:7 | 17 |
| ნორვეგია | 8 | 3 | 3 | 2 | 10:7 | 12 |
| სლოვენია | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| შოტლანდია | 8 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 10 |
| ბელარუსი | 8 | 1 | 4 | 3 | 11:13 | 7 |
| მოლდოვა | 8 | 1 | 2 | 5 | 4:13 | 5 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## კეჟმანი სიტყვის კაცია

**VII ჯგუფი**

**ესპანეთი 1:1 სერბეთი**

**1:0 რაული (19), 1:1 კეჟმანი (68)**
**ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, მარჩენა, პუიოლი, დელ ორნო, ხოაკინი (ლუის გარსია 66), ხაბი ალონსო, ხავი, ვისენტე (ლუკე 76), ფ. ტორესი (ტამუდო 53), რაული**
**სერბეთი: იევრიჩი, გავრანჩიჩი; ვიდიჩი, კრსტაიჩი, დრაგუტინოვიჩი, კორომანი (მარიჩი 84), დულიაი, სტანკოვიჩი, ჯორჯევიჩი, ილიჩი (ზიგიჩი 46; კოვაჩევიჩი 90), კეჟმანი**
**გაძევება: დულიაი (90)**
**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**

### „ვისენტე კალდერონზე"

სერბეთთან ოდენ საწყენი 1:1-ის შემდეგ ესპანეთის ნაკრებმა მუნდიალის მე-7 შესარჩევ ჯგუფში ლიდერობის თითქმის ყველა შანსი დაკარგა. კასტილიელთათვის საწყენი და თავშისაცემი კი ის გახლავთ რომ ლუის არაგონესის ბიჭებმა ბრწყინვალე პირველი ტაიმის მიუხედავად შესვენებაზე მეტოქე მაინც „ცოცხალი" გაუშვეს, რაც საბოლოოდ ძვირად დაუჯდათ.

ესპანეთის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა უკვე სხვებზეა დამოკიდებული და თუ სერბებმა დარჩენილ ორი თამაშში ერთი მაინც არ წააგეს, პირინეელებს ბოსნიასთან და ბელგიასთან მეორე ადგილისთვის უმძიმესი ბრძოლები მოუწევთ.

შეხვედრა მასპინძელთათვის იმედისმომცემად დაიწყო. პირთამდე გადაძეძგილი „ვისენტე კალდერონის" გამაყრუებელი ღრიანცელის თანხლებით ესპანელებმა ილია პეტკოვიჩის ბიჭებს მატჩის პირველი წუთებიდანვე სახიფათოდ შეუტიეს. სერბთა გუნდი კი ჩვეულად მოქმედებდა — როგორც ყოველთვის ყრუ დაცვა და წინ იღბლიანი შანსის მომლოდინე კენტად დარჩენილი მატია კეჟმანი. ადგილობრივ ინჩასთა გასახარად იევრიჩის კარებთან ნამდვილი კარუსელი გაიმართა — ჯერ ხაბი ალონსომ საჯარიმო დარტყმიდან სულ მცირედ აცილა მიზანს, მერე ტორესმა ოდნავ უზუსტო თავური ლეწა, შემდეგ კი რაულის იერიში მოწინააღმდეგის მცველებმა ძლივს შეაჩერეს... მოკლედ, იევრიჩს გოლი არ ასცდებოდა და ასეც მოხდა — ესპანეთის ნაკრების პირველივე მოწოდებულ კუთხურს რაულმა მშვენივრად დაჰკრა თავი და „კალდერონის" ტაბლოზე ანგარიში უკვე 1:0 გახლავთ.


ესპანეთი — სერბეთი 1:1. მატეა კეჟმანმა ანგარიში გაქვითა

„რეალისა" და ეროვნული გუნდის კაპიტანს პირველი ტაიმის მიწურულსაც შეეძლო გაეტანა, ოღონდ მის მორიგ თავურს წინ სერბთა იღბალი და იევრიჩის კარის ძელი გადაეღობნენ...

თამაშის მეორე ნახევარში კასტილიელ მცველებს ბევრად უფრო გაუჭირდათ — ორმეტრიანმა ზიგიჩმა მეტოქის უკანა ხაზს საჰაერო ბურთებისთვის გამართული ყველა ბრძოლა მოუგო და ამით მასპინძელი ინჩადა გვარიანად ანერვიულდა. ესპანელები, სერბებს თითქოს იმ თავდაპირველი ჟინით აწყდებოდნენ, თუმცა დამხვდურთა საიერიშო ტემპმა საგრძნობლად მოიკლო და მატია კეჟმანმაც თავისი საქმე გააკეთა. 68-ე წუთზე იკერ კასილიასის უხეში შეცდომის მერე მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდმა ბურთს არაგონესის გუნდის კარში მიუჩინა ადგილი.

სხვათა შორის, კეჟმანმა მატჩის წინ „ათლეტთა" ინჩადას წინასწარ მოუბოდიშა — „ატლეტიკოც" ძალზე მიყვარს და „კალდერონის" ფანობასაც უდიდეს პატივს ვცემს, თუმცა ოთხშაბათს თქვენს ნაკრებს გოლი უნდა გავუტანო და არავის არაფერი ეწყინოსო. სიტყვის ასრულებაც ასეთი უნდა, თან, მატიას დანაპირების ორმაგად შესრულებაც სურდა. შეხვედრს მიწურულს გიგანტმა ზიგიჩმა კეჟმანი დროული პასით მეტოქის ცარიელი კარის წინ დატოვა, ოღონდ „ათლეტმა" გატანის ნაცვლად ბურთს რაღაც უმწეოდ მოუცაცუნა ფეხი. საბოლოოდ მატჩი ფრედ 1:1 მორჩა და ტრიბუნაზე შეკრებილი ინჩასობაც თავჩაქინდრულნი დაიშალნენ. ბალკანელები კი ცხადია გახარებულები იყვნენ და ამის მიზეზი ჰქონდაც კიდევ.

**ლიტვა 0:1 ბოსნია**

**0:1 ბარბარესი (28)**
**ლიტვა: კარჩემარსკასი; სემბერასი, ჟიაუკშტასი, სტანკიავიჩუსი, ჩერნაუსკისი; ზვირაგდაუსკასი, სკარბალიუსი (სავენასი 46), ედგარას ჩესაუასკასი (მიკოლიუნასი 66), პოშკუსი; იანკაუსკასი და დანილიავიჩუსი**
**ბოსნია: ჰასადიჩ; ბერბეროვიჩი, მუზიჩი (ბარტოლოვიჩი 59), ბაიჩი, ბარამოვიჩი, პაპაჩი, მილენკოვიჩი, ბარბარესი, გრლიჩი, ბოლიჩი (იაკიროვიჩი 64)**
**მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)**

**ლიტვის** ეროვნულმა გუნდმა ბოსნიასთან საშინაო ჯახი წააგო და მუნდიალზე მოხვედრის იმედსაც დაემშვიდობა. გოლი სტუმრებმა 28-ე წუთზე გაიტანეს — მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა, „ჰამბურგის" სერგეი ბარბარესმა ბალტიისპირელ მცველებს დაასწრო და გოლკიპერ კარჩემაკასს ლამაზი ბურთი „აჩუქა". შესვენების შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა ლიუბინსკასმა გუნდის კაპიტანი აურელიუსი მანტას სავენასით შეცვალა, რამაც ლიტველთათვის სასიკეთოდ იმოქმედა — დამხვდურნი გამოცოცხლდნენ და 53-ე წუთზე ზვირჟდაუსკასს თავი ბურთისთვის ოდნავ ზუსტად რომ დაერტყა ლიტველი ფანები ტაბლოზე ნანატრ ფრეს დაინახავდნენ. მერე 76-ე წუთზე უნგრელმა არბიტრმა კასაიმ ჩერნაუსკისი უხეში ბურთაობისთვის მოედნიდან გააგდო და ლიუბინსკასის შეგირდთა თამაში უწესრიგო რბოლას დაემსგავსა. ბოსნიას კი თითო-ოროლა კაი ეპიზოდი ჰქონდა, თუმც ამჯერად გოლკიპერმა კარჩემარსკასმა და მისმა დაცვამ ივარგეს.

**ბელგია 8:0 სან მარინო**

**1:0 სიმონსი (34პ), 2:0, 3:0 დერდენი (39, 67), 4:0 ბუფელი (44), 5:0 6:0 მ. მპენზა (52, 71), 7:0 ვანდერბერგი (53), 8:0 ვან ბუიტენი (83)**

**მე-7 ჯგუფის** მესამე შეხვედრაში ბელგიამ სან-მარინოს უმასპინძლა და ალბათ სენსაციური არაფერი იქნება თუ ვიტყვით რომ მატჩის საბოლოო შედეგი 8:0 გახლდათ. ბელგია ამჟამად მე-7 ჯგუფში 11 ქულით მეოთხეა და მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის შესაძლებლობასაც ინარჩუნებს

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 8 | 4 | 4 | 0 | 13:1 | 16 |
| ესპანეთი | 8 | 3 | 5 | 0 | 11:3 | 14 |
| ბოსნია | 8 | 3 | 4 | 1 | 9:8 | 13 |
| ბელგია | 8 | 3 | 2 | 3 | 15:8 | 11 |
| ლიტვა | 8 | 2 | 3 | 3 | 7:6 | 9 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 2:31 | 0 |

## მოხერხებული ხორვატია


უნგრეთი — შვედეთი 0:1. იღბლიანმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეაგდო და შვედეთს მოაგებინა

**VIII ჯგუფი**

**მალტა 1:1 ხორვატია**

**0:1 ნ. კრანჩარი (19), 1:1 ველმანი (74)**
**ხორვატია: პლეტიკოშა, სიმიჩი (კლასნიჩი 80), სერიჩი (ლეკო 67), სიმუნიჩი, ტოკიჩი, ნ. კოვაჩი, ნ. კრანჩარი, ბაბიჩი, სრნა, ბალაბანი (ბოსნიაკი 68), პრსო**
**მსაჯი: ათანარიოს ბრიაკოსი (საბერძნეთი)**

**მალტის** ნაკრებთან 3 ქულა რომ ვერ აიღო, თანაც ისეთ დროს, როცა გამარჯვება ჰაერივით გჭირდება, გარკვეული მოხერხებაა საჭირო. ჰოდა ხორვატებმა ეს „შეძლეს", რაც შეიძლება ძალიან ძვირადაც დაუჯდეთ. მალტელებმა კი გამოკვეთილი აუტსაიდერის კვალობაზე მშვენივრად ითამაშეს და თავის მწირ მონაგარს მეორე ქულა შემატეს.

მატჩისწინა კომენტარებიდან ჩანდა, რომ ხორვატები საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი იყვნენ. თუმცა ზლატკო კრანჩარის შეგირდებმა მეტოქე აიგდესო მაინც ვერ ვიტყვით, რადგანაც სტუმრებს შეიძლება თავი არ მოუკლავთ, მაგრამ მთელი შეხვედრის მანძილზე უპირატესობას ფლობდნენ და მრავალი მომენტიც შექმნეს.

ანგარიში მე-19 წუთზე ნიკო კრანჩარმა გახსნა, ბოშკო ბალაბანის პასის შემდეგ. მასპინძელთა რბევაც თითქოს აქედან უნდა დაწყებულიყო და ორ წუთში დადო პრსოს განიავებულმა საგოლე მომენტმა ეს მოსაზრება უფრო გაამყარა, მაგრამ... ბურთის გალატელთა კარში ხელმეორედ შესვლა არ სურდა. 74-ე წუთზე კი სტეფან ველმანის მშვენივრად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ სენსაციური შედეგი გამოაცხო.

**უნგრეთი 0:1 შვედეთი**

**0:1 იბრაჰიმოვიჩი (90)**
**შვედეთი: ისაკსონი, კ. ანდერსონი, ლუჩიჩი, მელბერგი, ოსტუნდი, ლინდეროთი, ალექსანდერსონი, კალსტორმი (იონსონი 82), ლიუნგბერგი, იბრაჰიმოვიჩი (ოლბაკი 90)**
**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**

**ხორვატებს** დიდი შანსი ჰქონდათ წაბორძიკების მიუხედავად ჯგუფში პირველი ადგილი შეენარჩუნებინათ, რადგანაც ძალიან გაუჭირდა შვედეთსაც. სკანდინაველებს უნგრეთის სახით გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავდათ და გვარიანად იწვალეს კიდეც. მატჩმა დაძაბულ ორთაბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ მცირე უპირატესობა მაინც სტუმრებს ჰქონდათ, მათ რამდენიმე მომენტიც შექმნეს. ბოლოს კი იღბლიანმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეაგდო და თავისი გუნდი ცხრილის სათავეში გადაასკუპა. ვთქვათ ისიც, რომ მადიარებს გამარჯვების შემთხვევაში მუნდიალის საგზურზე ჩაბღაუჭების შანსი უჩნდებოდათ, მაგრამ...

**ბულგარეთი 3:2 ისლანდია**

**0:1 ტეინსონი (9), 0:2 ჰრეიდარსონი (16), 1:2 ბერბატოვი (21), 2:2 გ. ილიევი (69), 3:2 მ. პეტროვი (86)**

**უმოტივაციო** ბულგარეთსა და ისლანდიას კი მშვენიერი მატჩი გამოუვიდათ. სტუმრები მე-16 წუთზე უკვე 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ ხრისტო სტოიჩკოვის გასახარად მისმა შეგირდებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და საბოლოოდ გამარჯვებაც მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ ამ უხვგოლიან და მხიარულ შეხვედრას 5 ათასი კაციც კი არ ესწრებოდა. ნაკრებზე გულაცრუებულმა ბულგარელმა ქომაგებმა სტადიონზე მისვლა საჭიროდ აღარ ჩათვალეს. ასე რომ, ტრიბუნებზე ოდენ 4 836 ქომაგი იყო.

**გიორგი კაკაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 27:2 | 21 |
| ხორვატია | 8 | 6 | 2 | 0 | 20:5 | 20 |
| უნგრეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| ბულგარეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:16 | 11 |
| ისლანდია | 9 | 1 | 1 | 7 | 13:24 | 4 |
| მალტა | 9 | 0 | 2 | 7 | 3:31 | 2 |

## არგენტინა

**აპერტურა. VI ტური**

**ნიუელსი 2:2 ბანფილდი**
1:0 სილვა (68), 1:1 ლუქამბიო (71), 2:1 ოსორიო (78), 2:2 კიველი (90)
გაძევება: მაიდანა, სილვა (70, 90, ნიუელსი)

**კილმესი 1:1 ველესი**
0:1 ენრია (17), 1:1 დესაბატო (43)

**ხუნიორსი 1:0 ოლიმპო**
1:0 პისკულიჩი (32)
გაძევება: პისკულიჩი (53, ხუნიორსი), როა (53, ოლიმპო)

**რასინგი 3:1 ესტუდიანტესი**
1:0 კაპრია (18პ), 1:1 კალდერონი (56), 2:1 კაპრია (64პ), 3:1 მიროშევიჩი (88პ)
გაძევება: გრაბინსკი (80, რასინგი), არანო (37, ესტუდიანტესი)

**სან ლორენსო 3:2 ბოკა ხუნიორსი**
0:1 დელგადო (23), 1:1 ბოტინელი (25), 2:1 ორტისი (36), 3:1 ბარიენტოსი (56), 3:2 პალერმო (60)
გაძევება: გარსია (60, სან ლორენსო)

**ლანუსი 2:1 ხიმნასია ხ**
1:0 გრაფი (34), 2:0 ველასკესი (37), 2:1 რომერო (45ს.კ.)

**ტირო ფედერალი 0:2 არსენალი**
0:1 ტაბარესი (42), 0:2 პირისი (45)

**რივერ პლეიტი 3:2 კოლონი**
0:1 ფაბიანესი (43), 0:2 ფრანკო (58), 1:2 სანტანა (60), 2:2 გალიარდო (80), 3:2 ობერმანი (84)
გაძევება: პიკოლი (20, კოლონი)

**ხიმნასია ლა პლატა 3:0 ინდეპენდიენტე**
1:0 მანრიკე (12ს.კ.), 2:0 გოუ (60), 3:0 გონსალესი (75)

**ინსტიტუტო 0:0 როსარიო**

# რივერი კვლავაც ცოცხალია

**არგენტინული** აპერტურას მე-5 ტური ჩემპიონატის ლიდერებს მოულოდნელ რისხვად დაატყდა. აქამდე სატურნირო ცხრილის სათავეში გაბატონებულ ხუთეულს 6 და 7 სექტემბრის მატჩებში ცუდის მეტი არაფერი უნახავს — „კილმესმა", „როსარიო სენტრალმა" და „ბანფილდმა" თავიანთი შეხვედრები ფრედ დაასრულეს, მაშინ როცა „ბოკა ხუნიორსისა" და „ინდეპენდიენტეს" გაუჩოებმა ერთგულ ინჩასობას საერთოდ წაგებით გაუხეთქეს გული...

